
მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
CIPDD
პოლიტიკის ანგარიში
ოქტომბერი 2011

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პერსპექტივები

თამარ პატარაია
ევროპული და ევროატლანტიკური თანამშრომლობის პროგრამის ხელმძღვანელი
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

რეზიუმე

2011 წ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პერსპექტივები აქტიურად განიხილებოდა საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. ეს თემა პოლიტიკური დებატების დღის წესრიგში მას შემდეგ მოხვდა, რაც 2009 წელს ევროკავშირსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო ევროკავშირი-საქართველოს მოლაპარაკებები საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის ვიზების მიღების გამარტივების წესის შესახებ. 2010წ. ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ვიზების გამატივების და რეადმისიის ხელშეკრულებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტიდან. თუმცა, საქართველოს მოქალაქეებისათვის ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ როდის იქნებიან მზად ევროკავშირი და საქართველო დაიწყონ დიალოგი თავისუფალი სავიზო მიმოსვლის საკითხებზე და შეათანხმონ კონკრეტული სამოქმედო გეგმა.



წარმოდგენილ განაცხადში მიმოხილულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში. ნაშრომში შეფასებულია საქართველოსთან ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გრძელვადიანი პერსპექტივები, ვიზების გამარტივების და რეადმისიის ხელშეკრულებების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რომლის საფუძველზეც უახლოეს მომავალში, საქართველოს მოსახლეობას ევროკავშირში თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა შეიძლება გაუჩნდეს.

პოლიტიკის ნარკვევი მომზადებულია პროექტის *აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის ხელშეწყობა* ფარგლებში. პროექტს ახორციელებს კვლევითი ინსტიტუტების ქსელი PASOS ღია საზოგადოების ფონდის ადგილობრივი მმართველობისა და საჯარო რეფორმის ინიციატივის მხარდაჭერით.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდებს www.novisa.ge და www.novisa.eu

pasos Policy Association for an Open Society www.pasos.org
Local Government and Public Service Reform Initiative http://lgi.osi.hu
OPEN SOCIETY FOUNDATIONS www.soros.org
CIPDD www.cipdd.org

სავიზო რეჟიმის გამარტივება – დადებითი ტენდენციები

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა საქართველოს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში, საქართველომ და ევროკავშირმა შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც ნებას მისცემს საქართველოს მოქალაქეს, ვიზის გარეშე გადაადგილდეს შენგენის ხელშეკრულების წევრ 25 ქვეყანაში. ვიზების ლიბერალიზაცია, რომელიც ნებას მისცემს მსურველს, 6 თვის მანძილზე არაუმეტეს 90 დღისა დაჰყოს შენგენის ზონის ქვეყანაში, ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერული, საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას; ასევე გააუმჯობესებს საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების პირობებს, მოიზიდავს ინვესტიციებს და უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ მდგრადობას.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში, საქართველომ და ევროკავშირმა შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებას, რომელიც ნებას მისცემს საქართველოს მოქალაქეს, ვიზის გარეშე გადაადგილდეს შენგენის ხელშეკრულების წევრ 25 ქვეყანაში.

დღეისათვის საქართველოში კონსენსუსი არსებობს ყველა იმ ძირითად პოლიტიკურ აქტორს შორის, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიზნით რეფორმების გაგრძელებასა და შეთანხმებული პრიორიტეტების შესრულებაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება. ამას მოწმობს უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმები, რომელთა შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობა, აღმოიფხვრა ყოველდღიური კორუფცია, გადაიდგა ნაბიჯები საზღვრების მართვის ინტეგრირებული სისტემის შესაქმნელად, გაიზარდა დოკუმენტების უსაფრთხოების დონე, ხოლო 2010 წ. 14 აპრილიდან საქართველო მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიომეტრული პასპორტებით.

უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანობა, აღმოიფხვრა ყოველდღიური კორუფცია, გადაიდგა ნაბიჯები საზღვრების მართვის ინტეგრირებული სისტემის შესაქმნელად, გაიზარდა დოკუმენტების უსაფრთხოების დონე, ხოლო 2010 წ. 14 აპრილიდან საქართველო მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიომეტრული პასპორტებით.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მისაღწევად ზემოთ ჩამოთვლილი რეფორმების გარდა ევროკავშირმა დაინტერესება გამოხატა საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და მიგრაციულ პროცესებზე მკაცრი კონტროლი დაწესების მიმართ. შესაბამისად, 2010-2011 წწ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმდა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც გაიზარდა მომავალში საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების პერსპექტივა.

2010 წლის 17 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმება (ცოტა ხნით ადრე მსგავსი ხელშეკრულებები ევროკავშირმა აღმოსავლეთის პარტნიორ ორ სხვა ქვეყანასთან, უკრაინასა და მოლდოვასთან გააფორმა). ვიზების გამარტივების შეთანხმების შედეგად საქართველოს მოქალაქეებს შეუმსუბუქდათ ვიზების გაცემის პროცედურები: 60 ევრომდან 35 ევრომდე შემცირდა ვიზის გადასახადი; ვიზის გადასახადისგან მთლიანად გათავისუფლდა განმცხადებელთა 12 კატეგორია; ხანმოკლე ვიზიტისას ქართველ დიპლომატებს სრულად მოეხსნათ ვიზის მოთხოვნები. ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულო მომსახურებისათვის შემცირდა ვიზების გაცემის დრო, საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ 5 წლამდე მოქმედი მრავალჯერადი შესვლის ვიზის მიღების შესაძლებლობა. მოგვიანებით, 2010 წლის 22 ნოემბერს, ბრიუსელში ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულებასაც, რომლის მიხედვით გაიზარდა საქართველოს ვალდებულობები ქართველი და უცხო ქვეყნის არაკანონიერი მიგრანტების დაბრუნება/მიღების და მათი უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მხრივ. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებები საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოებისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის რეადმისიის ხელშეკრულების ხელმოწერამდე საქართველოს უკვე ჰქონდა ევროკავშირის არარეგულარულ მიგრანტებთან მუშაობის გამოცდილება. კერძოდ, ეს გამოვლინდა საქართველოს ფრონტექსთან თანამშრომლობის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებში. 2008 წელს საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ ფრონტექსთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა ფრონტექსის საქართველოს სასაზღვრო სამსახურთან თანამშრომლობის ჩარჩო. 2009-2010 წლებში რეფორმირებული სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის მონაწილეობით, ფრონტექსი და საქართველო თანამშრომლობდნენ ევროკავშირის წევრი სხვადასხვა ქვეყნიდან არაკანონიერი მიგრანტების საქართველოში დეპორტაციის საკითხზე. 2011 წ. 1 მარტიდან რეადმისიის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოში პროცესზე პასუხისმგებელ სტრუქტურას წარმოადგენს შსს საპატრულო დეპარტამენტი.

ევროკავშირშირის შენგენის ზონის ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების უვიზო შესვლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება გახდეს ორგანიზებულ დანაშაულთან და ადამიანებით უკანო-

ნო ვაჭრობასთან ბრძოლის გამოცდილება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში შეიძინა საქართველომ. ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ახალი კანონმდებლობის და ინსტიტუციური ჩარჩოს განვითარების, ასევე, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ახალი მექანიზმების ჩამოყალიბების და დანაშაულის თავიდან აცილების მიმართულებით. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის წლიური ანგარიშის მიხედვით, საქართველო ინარჩუნებს ერთ-ერთ მოწინავე ადგილს უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის კუთხით და ხელისუფლება სრულად აკმაყოფილებს უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრისთვის აუცილებელ მინიმალური სტანდარტებს.

ასევე, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში. 2005 წლიდან საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეძლო შესაბამისი კანონმდებლობის განვითარება და დამნაშავეებისთვის საკუთრების ჩამორთმევით/კონფისკაციით სახელმწიფო შემოსავლების გაზრდა. ამასთანავე, გაუმჯობესდა საქართველოს რეფორმირებულ პოლიციასა და სასამართლოს ევროკავშირის შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობა, რომლის შედეგადაც წარმატებით განხორციელდა ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფების გამოვლენა ესპანეთსა და ბელგიაში. ასევე, საქართველოში კრიმინალური მდგომარეობის 2010 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, 2005 წლიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მდგომარეობა და მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ნდობა რეფორმირებული პოლიციის ინსტიტუტის მიმართ.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გამოწვევები

სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროებში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის წინაშე კვლავაც დგას რიგი გამოწვევები. ხელშესახები შედეგების მისაღწევად საქართველომ უნდა გააგრძელოს ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება. კერძოდ, ევროკავშირი დაინტერესებულია დემოკრატიის, სასამართლოს დამოუკიდებლობის და კანონის უზენაესობის ხელშეწყობით, ასევე ახალი საიმიგრაციო მომსახურების შექმნით და არარეგულარული მიგრანტების საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობის გაფართოებით. ამასთან, საქართველომ კვლავ უნდა გააგრძელოს მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კორუფციასთან ბრძოლა, კანონის უზენაესობის და დამოუკიდებელი სასამართლოს დამკვიდრება, პირადი ინფორმაციის ეფექტური მართვის სისტემის შექმნა. ევროკავშირის სანდო პარტნიორობისათვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს საზღვრის მკაცრი კონტროლი, შეეცადოს გადაჭრას საზღვრის დემარკაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე, მეტი ყურადღება გამოიჩინოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მიმართ.

ევროკავშირის შენგენის ზონის ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების უვიზო შესვლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება გახდეს ორგანიზებულ დანაშაულთან და ადამიანებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის გამოცდილება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში შეიძინა საქართველომ.

2006-2010 წლებში დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მიზნით მიღებულ ზომებთან დაკავშირებით, გარკვეული შენიშვნები აქვთ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებს. მათ მიერ საქართველოში დანაშაულისა და კორუფციის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დაზარალებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ არიდებს თავს პოლიციაში განაცხადის შეტანას, ხოლო კორუფციის აღმოფხვრისკენ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი ნაწილობრივ იყო უკანონო და შეუსაბამო კანონის უზენაესობის პრინციპთან. აღსანიშნავია, რომ ეს პროცესები ასევე არ მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ან არასამთავრობო ინსტიტუტების მონიტორინგის ქვეშ. ამგვარად, მთელი რიგი ოფიციალური დოკუმენტების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშების მიხედვით (მათ შორის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშების თანახმად) საქართველომ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, ასევე, ელიტური კორუფციის აღმოსაფხვრელად.

საქართველომ კვლავ უნდა გააგრძელოს მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კორუფციასთან ბრძოლა, კანონის უზენაესობის და დამოუკიდებელი სასამართლოს დამკვიდრება, პირადი ინფორმაციის ეფექტური მართვის სისტემის შექმნა.

ამასთან, კორუფციის და დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ზომების ეფექტიანობა დაკავშირებულია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გაზრდასთან. არაერთი შეფასებით საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა სასამართლო სისტემაში. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მიუთითებს, რომ სასამართლო ნაკლებად უზრუნველყოფს სამართლიანობის დაცვას. ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემებიც, რომელთა მიხედვით სისხლის სამართლის საქმეებში დამნაშავის გამართლების წილი 1%-ზე ნაკლებია. ასევე, ადამიანის უფლებების შესახებ შეერთებული შტატების მთავრობის ანგარიში (2010), სასამართლო სისტემას საქართველოს ყველაზე დიდ სისუსტედ მოიხსენიებს, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნას.

აგრეთვე, საქართველოსთვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საზღვრების დემარკაციის საკითხი. 2009-2010 წლებში ამ თემაზე მუშაობა მიმდინა-

რეობდა სომხეთთან და აზერბაიჯანთან. განსაკუთრებით პრობლემურია საქართველოს ხელისუფლებისთვის რუსეთთან საზღვრის გამიჯვნის საკითხი, მით უმეტეს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ოფიციალურად გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები. შესაბამისად, მათ შორის უახლოეს მომავალში არ არის მოსალოდნელი ოფიციალური დემარკაციის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება. სამწუხაროდ, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მომავალში რუსეთ-საქართველოს საზღვრის საკითხის შემდგომი გართულების შესაძლებლობას ქმნის. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი-რუსეთს შორის ვიზების ლიბერალიზაციის ხელშეკრულებას მანამდე მოეწერა ხელი, ვიდრე საქართველოს მოქალაქეები ისარგებლებენ ამ უფლებით – ეს საქართველოს ძირითად მოსახლეობას დისკრიმინაციულ პირობებში ჩააყენებს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იქნება იმ მოსახლეობასთან შედარებით, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს და ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით რუსეთის მოქალაქეობის უფლებით სარგებლობს.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების ლიბერალიზაციის პროცესი ნაკლებად ღიაა. საზოგადოებას სუსტად აქვს გაცნობიერებული ევროკავშირთან თავისუფალი სავიზო რეჟიმის სიკეთეები. ამ თემაზე დებატები იმართება მედიაში, თუმცა დისკუსია ნაკლებად ეყრდნობა ამ სფეროში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას, წარმატებისათვის არსებული საჭიროებების ანალიზს, დაინტერესებული აქტორების და გადაწყვეტილების მიმღები პირების შეფასებებს, უკვე მიღწეულ შედეგებს და სამომავლო გამოწვევებს. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ვიზების ლიბერალიზაციის პოლიტიკის განხილვისა და მისი მონიტორინგის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების და მედიის ჩართვა ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირში უვიზო გადაადგილების შესახებ პოლიტიკური პროცესის წარმატებას.

დასკვნა

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე შეძლო არსებითად გაეუმჯობესებინა მდგომარეობა საზღვრის მართვის მენეჯმენტში, გამარტივდა რიგითი მოქალაქისთვის სავიზო პროცედურები, წარმატებული აღმოჩნდა ყოველდღიურ კორუფციასა და ადამიანებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, უსაფრთხოების მაღალი ხარისხით არის დაცული ახლადგაცემული დოკუმენტები, კერძოდ, ბიომეტრიული პასპორტები და ელექტრონული საიდენტიფიკაციო ბარათები. შედეგად, საქართველომ უახლოეს მომავალში ევროკავშირისგან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მისაღებად სასურველი წინაპირობა შექმნა. თუმცა, საქართველომ ინსტიტუციურ დონეზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უნდა გადადგას სასამართლოს რეფორმის, კრიმინალთან და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში. ამასთან, საქართველო იმედოვნებს, რომ ევროკავშირი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესს მოლდოვასა და უკრაინასთან მიმართებაში მიმდინარე პოლიტიკას დაუკავშირებს, რაც დააჩქარებს საბოლოო მიზნის მიღწევას. თუმცა, ამას რამოდენიმე ფაქტორმა შეიძლება შეუშალოს ხელი.

უპირველეს ყოვლისა, ვიზების ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის დაწყებამდე ევროკავშირი გეგმავს შეაფასოს საქართველოში ვიზების გამარტივების და რეადმისიის ხელშეკრულებების შესრულების ხარისხი და ეფექტიანობა. ევროკავშირის განცხადებით, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მზად დამატებითი ნაბიჯები გადადგას და მწვანე შუქი აუნთოს საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგის დაწყებას, თუ დარწმუნდება, რომ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია უკეთესად გააკონტროლოს ქვეყნისკენ და ქვეყნიდან მიმართული მიგრაცია, გააუმჯობესოს მდგომარეობა კანონის უზენაესობის და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კუთხით.

მეორეს მხრივ, დღეისათვის ევროკავშირი უფრო მეტადაა დაინტერესებული უკრაინასა და მოლდოვასთან მიაღწიოს ვიზების ლიბერალიზაციას, ვიდრე საქართველოსთან. ამ ქვეყნებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან სახმელეთო საზღვარი აქვთ და ასევე მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ ევროკავშირის მიერ წინასწარ დადგენილი პირობების შესრულებაში. ამგვარად, ევროკავშირის მიერ საქართველოს საკითხის განხილვა უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად ჯერ კიდევ მოითხოვს ეროკავშირის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას.

მესამე მიზეზი, რის გამოც შეიძლება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზების ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგის დაწყება შეფერხდეს, დაკავშირებულია ევროკავშირის შიდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებთან. დიალოგის დაწყება შეიძლება ვერ გახდეს ევროკავშირისათვის პრიორიტეტული პოლიტიკური საკითხი და გადავადდეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ახლახან, 2011 წლის მაისში ევროკავშირის მინისტრიალზე დებატები გაიმართა თავად შენგენის შეთანხმების გადახედვის შესახებ. ამიტომ, თუ შენგენის წევრ ქვეყნებს შორის აზრთა ერთიანობა დაირღვა, ვიზების ლიბერალიზაციის შესახებ სამოქმედო გეგმის მისაღებად საქართველოს შეიძლება დიდხანს მოუწიოს ლოდინი.

მიუხედავად შექმნილი რეალობისა, ჯერ კიდევ არსებობს იმის მაღალი შესაძლებლობა, რომ უახლოეს მომავალში ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისა და პოლიტიკური სირთულეების დაძლევის შემდეგ ევროკავშირის შენგენის ზონის ქვეყანაში სამოგზაუროდ საქართველოს მოქალაქეებს ვიზების მიღება აღარ დასჭირდებათ.